განკარგულება:**g-81.81261472**
თარიღი:**27/05/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №19

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ოყურეშში მდებარე 1032.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 89.10.23.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის დ.დ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი აუდიტორი ი/მ ,,ომარი დოღონაძის“ (პ/ნ 60001044858; ქონების შემფასებელი, სერთიფიკატი NA-1593) უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ქირის ღირებულების შეფასების შესახებ დასკვნის (№24; 11.06.2025წ) საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ოყურეშში მდებარე 1032.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.10.23.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით შპს ,,სარტყელისთვის“ (ს/კ 412710375) სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის ცალკეული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალების დასასაწყობებლად 6 თვის ვადით გადაცემაზე.

2. ექვსი თვის საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს: ექვსი თვის საიჯარო ქირა-1800 (ათას რვაასი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა-300 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქუჩა №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი